

სადღესასწაულო წეს-განგება
ღირსისა მამისა ჩუენისა
ზენონ იყალთოელისა
თუესა ოქტომბრის 16-სა (ახ. სტ. 2-სა)

დიდ მწუხრსა ზედა.

- „მოვედით თაყვანის - ვსცეთ“ - იგალობება.
- „აკურთხევს სული ჩემი სული უფალსა“ (103 ფსალმუნი) - იგალობება.
- „ნეტარ არს კაცი“ - I კანონის I ანტიფონი.
- „უფალო დადად - ვჰყავ“ (იგალობება V ჳმაზე).
- ღირსისა ზენონისა .

დიდებად მსოფლიოდ განხრწნადი დაუტევე, იყალთოსა შუენებაო ზენონ, საკვრველო, და იწროსა მას გზასა თანამოგზაურ ექმენ რაჲ მოძღვარს შენსა, იოანეს, ჳემმარიტებად გექმნათ თქუენდა წინამძღურად გზისა მის უცხოჲსა, და მშუდობით მიიწიეთ რაჲ სანახებსა მას ქართლისასა, წინა მოგეგებნათ თქუენ რჩეული მღვდელმთავარი ქრისტესი ევლავიოს, უწყებული სულითა, და ზოგად მის თანა მოიღეთ რაჲ ენანი ცეცხლისანი, კურთხევითა მისითა და ლოცვითა მხურვალითა აღიწიენით ღირსნო, სრულსა სისრულესა სათნოებათასა, გვიოხე აწ ქრისტჳს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშუდობად და დიდი წყალობად.

მწყემსსა ცხოვართასა გპოვებთ შენ, და კეთილად მოღუაწესა მლოცველსა, ხოლო ეშმაკთა შენ მიერ დაცემულსა ვხედავთ, იყალთოსა შუენებაო ზენონ, საკვრველო, ბრწყინვალეზაო საღმრთოსა სიყუარულისაო და განმანათლებელო კახეთის მკვდრთაო; სუეტო შუურყეველო მოთმინებისაო; სიმტკიცეო და ძელო ეკლესიისაო; ლამპარო ყოვლადბრწყინვალეო და მნათობო ყოვლისა საქართველოჲსაო; სათნოებათა საუნჯეო და წმიდითა ლოცვითა შენითა მეოხო ყოველთა პატივისმცემელთა შენთაო, გვიოხე აწ ქრისტჳს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშუდობად და დიდი წყალობად.

ჳემმარიტად კეთილად მოღვაწჳ და სვეტი შუურყეველი გამოჩნდი რაჲ კახეთის მთიანეთსა, იყალთოსა შუენებაო ზენონ, საკვრველო, დამკვდრდი იყალთოსა და, მუნვე ბრძნად მორწმუნენი შემოიკრიბნე, და აღიყუანე სულიერსა მას სიმაღლესა, ლოცვა-ჰყავ, ყოვლად სანატრელო, ჩუენთჳს, რომელნი აღვაღვლენთ პატიოსანსა ჳსენებასა შენსა, რაჲთა გარდამოვლინოს ეკლესიათა ერთობად, მშუდობად და დიდი წყალობად.

იხარებს აწ იყალთოს მონასტერი, რომელი იუნჯებს წმიდათა ნაწილთა შენთა, სიქადულო მოსაგრეთაო და სიმტკიცეო მართლისა სარწმუნოებისაო, სამებისა წმიდისა გამორჩეულო მსახურო, მოდასეო ანგელოზთაო, ქუეყანით ზეცად ამაღლებულო, და სასუფეველსა დამკვდრებელო, იყალთოსა შუენებაო ზენონ, საკვრველო, გვიოხე აწ ქრისტჳს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშუდობად და დიდი წყალობად.

იქების მარადის მართლმადიდებელთა ქრისტეს მოყუარეთა მიერ, საღმრთონი სათნოებანი შენნი, იყალთოსა შუენებაო ზენონ, საკვრველო, სიწმიდჳ, სიმშუდჳ, და სიმდაბლჳ და

გლახაკთა მოწყალებად. აწ ჩუენცა არა უმეცარ ვართ ღუაწლთა შენთა და შრომათა, და მჭურვალედ გევედრებით: გვიოხე აწ ქრისტჳს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშჳდობად და დიდი წყალობად.

ნეტარ არიან მკჳდრნი სავანისა მის შენისანი, იყალთომსა შუენებაო ზენონ, საკჳრველო, ნიჰთა მრავალთა საუნჯეო, და ჭურო, შემნახველო ქალწულებრივისა სიწმინდისაო, მადლისა ნავთსაყუდელი, კურნებისა წყაროო, სნეულთა უვეცხლოო მკურნალო, ჭემმარიტთა მმარხველთა შემწეო და მწუხარეთა ნუგეშინისმცემელო, ამა სოფლისა ვნებათაგან აღელვებულთა მშჳდო ნავთსადგურო; გვიოხე აწ ქრისტჳს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშჳდობად და დიდი წყალობად.

დღესა ჳსენებისა შენისასა ვიხარებთ კრებულნი მართლმადიდებელთა ქართველთანი, იყალთომსა შუენებაო ზენონ, საკჳრველო, და ჳმითა დიდითა გიღაღადებთ: ქრისტეს სიყუარულისთჳს სოფლისა შუენიერებად დაუტევე, და მოძღურისა შენისა კურთხევითა დამკჳდრდი რად კახეთისა მხარესა, დაარსე იყალთოს მონასტერი და წინამძღურებითა ღმრთისადთა სამწყსოსა მას, რომელი გერწმუნა, დამწყსიდი მშჳდითა და მდაბალითა სულითა, გვიოხე აწ ქრისტჳს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშჳდობად და დიდი წყალობად.

დღესასწაულობს ქართველთა ეკლესიად ჳსენებასა შენსა და გჳწესს შესხმად ღუაწლისა შენისა, იყალთომსა შუენებაო ზენონ, საკჳრველო, ანგელოზთა თანა შეერთებულთა ტადარო საიდუმლოთაო, უფსკრულთა გულისწმისყოფისაო, მხილველო გამოუთქმელთაო, მამაო ბერთაო, სიქადულო მონაზონთაო და წინამძღუარო განშორებულთაო, რომელი წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა იხარებ მრავლითა ბრწყინვალეებითა განათლებული და შემწე ხარ მვედრებელთა შენთათჳს, გვიოხე აწ ქრისტჳს მიმართ და გვთხოვე, ღირსო, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშჳდობად და დიდი წყალობად.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დაფარულსა საიდუმლოსა, ვითარცა ცხადსა ჳხედვედი, წმიდაო ბერო, ხოლო მომავალი სარწმუნოდ უწყოდი, და ყოველივე თქმული შენი ჭემმარიტ-არს, აწ მოგუეც ჩუენ გული გონიერი და ბრძენი, გულისხმის-ყოფად კეთილისა და ბოროტისა, რადთა წარმწყმედელთა გზათაგან განგვერნეთ და წარვემართნეთ გზასა მას ჭემმარიტსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჰამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძჳ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწომსა გამოვიდა გამოუთქმელად ჳორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთვის კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევენელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენთასა.

- **შესვლა საცეცხლურით.**

- **წარდგომა დღისა**

- **საწინაწარმეტყველო - 3 საკითხავი ღირსისა.** (იძიე სექტემბრის 28-ს წმიდისა ხარისტონის მსახურებიდან.

- ლიტსა ზედა დასდებელი ტაძრისა - 1 მუხლი.

- ესრეთ ღირსისა ზენონისა.

ესე ღირსი ჯსენებისაჲ საკვრველი და ყოვლად ქებული მამაჲ ჩუენი ზენონ აღმოეცენე რაჲ ქუეყანისაგან შუამდინარისა, მახლობელად ანტიოქიასა, თჳსსა-ვე მას მამულსა იწყე რაჲ მონაზონებაჲ, იქცეოდი ყოვლითა სიმდაბლითა და მოღუაწებითა, ხოლო მოძღვარი შენი იოანე იქმოდა ღმრთისა მიერ მრავალ-ფერთა ნიშთა და სასწაულთა და კურნავდა სენთა და საღმობათა. აწ ჩუენცა შეგვეწიეთ და დაგვიფარეთ ყოველთა უძღურებათა და ჭირთაგან.

სანატრელიცა ესე მოძღვარი შენი და ბრწყინვალე მნათობი იოანე, ვითარ ბრწყინვალე ვარსკულავი აღმოუბრწყინდა ბნელსა შინა უმეცრებისასა შეცთომილთა სულთა და დაუღამებელისა ნათლისა მიმართ წინამძღუარ ექმნა მათ, გარნა ევლტოდა საწუთოსა ამას დიდებასა, და დაუტევა რაჲ ადგილი იგი, სადა იყოფოდა, წარვიდა შორსა უდაბნოსა, და დაჯდა ქვაბსა მას შინა ათორმეტთა მოწაფეთა თჳსთა თანა, რომელთა შორის ადაცხული, ნეტარო ზენონ, მიიწიე საზომსა დიდსა.

ლოცვითა და მღვიძარებითა მაცხოვრისაგან მოიპოვეთ რაჲ მადლი სულისა წმიდისა, ყოველთავე ჳორციელთა შუებათა და გემოთა შეურაცხის-ყოფდით მარხვითა და სამარადისოჲსა ლოცვითა განკაფავდით სხეულსა და ყოველთა იწროებათა მიერ დააჭნობდით და მოაუძღურებდით მძღავრებასა მისსა, გარნა საყოველი თქუენი მრავალ-ჟამ არც-ვინ იცოდა, არამედ გადიდა თქუენ ღმერთმან, იდიდებოდა რაჲ თქუენ მიერ და კუალადცა გამოუცხადა მონანი თჳსნი ქუეყანასა.

განჯდა რაჲ ჰანბავი თქუენი ანტიოქიასა და ყოველსა შუამდინარეთსა, მიჰგურიდეს ცხედრითა სნეულებსა და ეშმაკუელებს იოანეს, და ყოველნი განიკურნებოდეს ძალითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა მისითა, არამედ ევლტოდა მამაჲ იგი პატივთა სოფლისათა, და განიზრახა წარსლვაჲ უცხოებად და გრქუა თჳსთა მოწაფეთა, რომელთა შორის შენცა იყოფოდი, წმიდაო ზენონ, რაჲთა მასვე ადგილსა იღუწიდეთ და ილოცევდეთ მისთჳსცა, გარნა თქუენ ესრეთ შეკრულ იყუვენით სიყუარულითა სულიერითა და ეტყოდით: `არა განგიტეოთ შენ მარტოჲ, რამეთუ შენ ხარ წინამძღუარი სულთა ჩუენთაჲ და მადლთა შენთა მიერ მოველით ღმრთისაგან წყალობასა~.

დამტევებელი ქუეყანისა და მამულისა თქუენისა, საუფლოჲსა ჳმისა მიერ წოდებულნი მოიწიეთ ღმრთისმშობლის წილხვედრსა ქუეყანასა, რამეთუ ექადაგა მუნ წმიდაჲ ქრისტეს სახარებაჲ დიდებულსა მოციქულსა ანდრიას ნაცულად დედისა ღმრთისა და უკუანაჲსკნელ მოივლინა რაჲ მის მიერ წმიდაჲ ქალწული ნინო, ნათელ-ილო მეფემან და ყოველმან ერმან სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, გარნა მპყრობელობასა მას სპარსთასა განმრავლდა საცთური მწვალებელთა და წარმართთა და ვიეთნიმე მისდრიკეს მართლისაგან სარწმუნოებისა.

უპირატესისა მიმართ მაშინ სხუათა ქალაქთასა მცხეთისა დედაქალაქად. და შესრულმან წინაშე განმაცხოველებელისა სუეტისა ერთბამად მოწაფეთა თჳსთა თანა თაყუანი(ს)-სცა უფალსა, დავრდომილმან იატაკსა ზედა და ცრემლთა მიერ დამალტობელმან მიწისამან და მიმყოვრებულად ვედრებათა შემწირველმან სახიერისა და ტკბილისა მეუფისა.

სამეუფოსა მას ქალაქსა მცხეთას შესრულნი მიეახლეთ განმაცხოველებელსა მას სუეტსა, რომელი მირიან მეფემან სიმრავლითა ერთა ურიცხუთაჲთა ვერ შეუძლო აღმართებად სამ დღე და აღჰმართა ღმერთმან, ლოცვითა ქართველთა განმანათლებელისა და მომაქცეველისა, დედისა და

მოციქულისა ჩუენისა ნინოისითა, და მუკლდადგმითა და ცრემლთა მიერ დამალტობელნი მიწისანი ითხოვდით შეწევნასა სახიერისა და ტკბილისა მეუფისაგან, რადთა გიძლოდეთ იგი ჭემმარიტებითა თვისითა ადგილისა მიმართ, რომელსა შინა სათნოდ მისდა მყუდროებით ადასრულებდით ნემტთა ჟამთა ცხორებისა თქუენისათა.

ღმერთმან, რომელი არა უგულებელს-ჰყოფს ვედრებასა მონათა თვისთასა, უჩუენა მას მთად ჩრდილოეთით კერძო მცხეთისა ქალაქისა და ჯუარისა პატიოსნისა, და აუწყა, რადთა აღვიდეს წუერსა ზედა მის მთისასა, ხოლო წიაღ-ვლეთ რად არაგვ, აღხვედით თაყუანის-ცემად ჯუარისა პატიოსნისა, მოილოცეთ, და აღიწიეთ რად მთასა მას ზედა, რომელსა ზედა გოდოლი აღემენა წარმართთა და ეშმაკნი ფრიად დამკვდრებულ იყუნეს და ჰმსახურებდეს კუამლითა ნაზორევეთადთა, და იხილა რად იგი მოძღვარმან შენმან, ნეტარო ზენონ, რამეთუ მარჯუე იყო მარტოებით დაყუდებისათვს, გრქუა მოწაფეთა თვისთა: `მე აქა დავემკვდრო, რადთა ლოცვითა განიწმიდოს ადგილი ესე და სამკაულ ექმნეს ეკლესიათა და გარემო ქართველთა ერთა~.

აღირჩია რად მარტოდ მყოფობად ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან, წმიდამან იოვანე, გაკურთხათ იწროსა გზასა მას ზედა მონაზონებისასა სრბად წმიდითა ჯუარითა თვისითა, და განგსწავლიდათ თვისთა მოწაფეთა და გეტყოდათ: `შვილნო, სარგებელისათვს ამის ქუეყანისა წარმოგუავლინნა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან და აქა მოგვძლუა, რამეთუ ახალ ნერგ არს ქუეყანად ესე, ამისთვს-ცა წარვედით, რადთა განამტკიცებდეთ ქრისტეს სამწყსოთა, მრავლითა საცთურითა დაბრკოლებულთა და სპარსთა მაზდეანთა და ერთბუნებიანთაგან ჰაოსიანთა ცთუნებულთა.~ და წარგზავნასა მას თქუენსა ამიერ და იმიერ მხარეთა და უდაბნოთა საქართველომასათა, მოგცათ ნაწილთაგან წმიდათა მოწამეთადასა, და მათითა მადლითა იცვებოდით ყოველთაგან-ვე საფრკეთა ეშმაკისათა, და გაქუნდათ ნუგეშინის-საცემელად სულისა და ჯორცთა.

დამკვდრდა რად უდაბნომსა მოყუარე ესე გურიტი, მთასა მას ზედაზნისასა, პოვა მუნ ქუაბი რადმე მცირე და უფიცხესთა შრომათა მოღუაწებისათა მარხვისა და ლოცვისა მიერ სამარადისომსა, ზე დგომისა, სრულიად დამაჰნობელი და მომაუძღურებელი ჯორცთა და ყოველთავე ზედა-მოსლვათა და მანქანებათა მაცთურისა ეშმაკისათა, ხოლო შენ წარგავლენდა რად კახეთსა წმიდად იგი, ნეტარო ზენონ, განემორნეთ მოძღუარსა თქუენსა და ურთიერთას მამანი ეგე წმიდანი ათორმეტნი, და დაეყუდნეთ, ვითარცა სათნო-იყო სულმან წმიდამან, მაშინ მოვიდოდეს ქრისტეს მორწმუნენი, თქუენ მიერ განსწავლულნი და სულითა აღშენებულნი წარვიდიან სახედ თვისად და დიდთა კურნებათა იქმოდით შეწევნითა ღმრთისადათა, რომლისა მიერ აღძრვანი მტერთანი დაამხუნეთ ივერიას, და განამტკიცეთ სარწმუნოებად ესე მართლმადიდებელთა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დაუტევე რად, ბრძენი იგი მოძღუარი შენი, აღიღე ჯუარი, რომლისა მიერ მოქადულ-იყავ შენ, სამ-გზის სანატრელო, და წინამძღურებითა სულისა წმიდისადათა და უწყებითა იოანწსითა წარმართენ სლვანი შენი გზასა მას ჭემმარიტსა და მიიწიე რად კახეთის სანახებსა, განამრავლებდი სწავლათა სულთა მარგებელთა და განასხმიდი სულთა უკეთურთა და განჰკურნებდი სნეულთა, ეგრეთვე აწ მეოხ გვეყავ ღმრთისა მიმართ, რადთა ყოველთა საფრკეთა განვერნეთ და ვსძლოთ ბოროტთა მანქანებათა უხილავისა და ხილულისა მტერისათა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გიხაროდენ, ქალწულო, ღრუბელო და ეტლო სიტყვსაო, გიხაროდენ, უხესთაეს გონებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმრთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელო სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თვნიერ თესლისა მშობელო, და თვნიერ ხრწნილებისა მაწოვნებელო, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეულო.

- **სტიქარონსა ზედა დასდებელი.** *(ჴმაჲ 8).*

და-რაჲ-ემკვდრა შენ თანა მადლი ღმრთისაჲ, მოგაძულა შენ საწუთრომსა დიდებაჲ, და შეგაყუარა სიმდაბლჴ და უცხოებაჲ, ლოცვაჲ ღმობიერი, მღვპარებაჲ და ზე-დგომაჲ ჴელგანჴყრობით უქორცოთა მიმსგავსებული, და აღასრულე რაჲ სრბაჲ შენი და სიხარულით წარმოუდეგ ქრისტესა. წმიდაო იყალთოელო ბერო, ნეტარო ზენონ, აწცა გვთხოვე მისგან დიდი წყალობაჲ.

მუხლი. „**პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“.**

მოაკუდინე შენ გულისთქმაჲ და შეიყუარე წმიდა ქალწულებაჲ, და ვითარცა ნათელი, შთაიციუ სიწმიდჴ, და ვითარცა გურიტი სიმშვიდით ჴმონებდი ქრისტესა გონებითა უბიწოთა, წმიდაო ზენონ, სანატრელო, შემკული საღმრთოთა გულისჴმის-ყოფითა. ამისთჴსცა გაქებთ და გნატრით კეთილქებისა გალობითა.

მუხლი. „**ნეტარ-არს კაცი, რომელსა ემინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“.**

შეგამკო ღმერთმან, წმიდაო ზენონ, ნათლითა სასწაულთაჲთა და მადლთა საღმრთოთა ბრწყინვალებითა, და აღავსო სული შენი სიბრძნითა, და ვითარცა წყაროჲ ცხოველი და თუალი დაუწყუდელი აღმოაცენებდი მოძღურებათა საღმრთოთა, აღორძინებისათჴს ქრისტჴს სამწყსოსაჲთა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

კეთილ-მონაო სახიერო და სარწმუნოო, კეთილო მუშაკო ქრისტჴს ვენახისაო, შენ სიმჴნითა და აჴოვნად სიმძიმე დღისაჲ იტჴრთე და მოცემული ტალანტი აღორძინე, რაჲსთჴსცა იოანეს, მოძღვრისა შენისა თანა განწესე და ძმათა თანა სულიერთა შეხუედ სიხარულსა უფლისა შენისა სახიერისასა, აწ მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად-იღე გამოუთქმელად, დედაო ღმრთისა მადლისაო, ვედრებაჲ მონათა შენთაჲ შეიწირე, ყოვლადუბიწოო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებაჲ შეიწირე და გვთხოვე ჩუენ დიდი წყალობაჲ.

- **„აწ განუტევე“.**

- შემდგომად **„მამაო ჩვენო“**-სი:

- **ტროპარი - ღირსისა:** შენ შორის, საკვრველო მამაო, კეთილად დაცულ იქმნა ხატება, რამეთუ აღიღე ჯვარი და შეუდეგ ქრისტესა, და მოქმედი ასწავებდი შეურაცყოფასა ხორცთაჲსა, ვითარცა წარმავალსა, ხოლო ღუწასა სულისასა, ვითარცა უკვდავისა არსებისასა, რომლისათვისცა ანგელოზთა თანა იხარებს სული შენი, ნეტარო ზენონ. - **2 გზის.**

- **ან სხუად ტროპარი** იხარებს დღესასწაულსა შენსა ერი ქართველთაჲ და თაყუანისცემასა შესწირვენ ქრისტესა ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევეთარი მამაჲ და მეოხი დედისა თვისისა წილ-ხუდომილსა ერსა ჩუენსა, და შენ მიერ მოვიღებთ რაჲ ღმრთისაგან წყალობასა, სიხარულისა ვითა შეგასხამთ ბერთა სიქადულსა და კახეთის დიდებასა, ღმრთივგანბრძნობილსა მამასა ჩუენსა, ზენონ იყალთოელსა. - **2 გზის.**

- **ღვთისმშობელო ქალწულო** - **1 გზის.**

- **პურის კურთხევა.**

დიდი ცისკარი:

- **„ღმერთი უფალი“** (იგალობება IV კმაზე).

- **ტროპარი ღირსისა:** „იხარებს დღესასწაულსა შენსა ერი ქართველთაჲ...“ - **2 გზის**

- **„დიდება“ „აწ და“** - ღმრთისმშობლისა „ადდგომის განსატევებელი“ (ტროპარი ხმის მიხედვით): - რომელი საუკუნითგან დაფარულ-იყო, და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთისმშობელო, შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, ღმერთი შეურევნელად შენგან განკორციელდა, ჯუარცმად ნებსით თავს იდუა, რომლისათვისცა აღადგინა პირველდაძინებულნი, და იქსნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი.

- **შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა.** (კმა 1).

ისწრაფდი რაჲ ანგელოსებრივისა მიმართ ღუაწლისა, დაუტევე სოფელი წინამძღურობითა იოანწსითა, მსგავსად იოანე ნათლისმცემელისა, და თანამოსაგრეთა თანა ათორმეტთა დაემკვდრე რაჲ ივერიას, ენამან შენმან, ღირსო, ღმრთის-მეტყუელმან ქუეყანაჲ კახეთისაჲ მოძღურებითა მდინარის სახედ აღავსნა და მორწყნა რაჲ გულნი უმეცართანი, მოიყვანნა ღმრთის მეცნიერებაჲ და სცხონდებოდენ სულიერად, აწცა მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა, რაჲთა მართლმადიდებელნი ერნი დაგვიცუნეს სატანისა მახეთაგან და განგვარინოს ამაონი შფოთნი და ბოროტნი განსაცდელნი მოსავთა შენთა. **2-გზის.**

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

განეცხადების საიდუმლოჲ საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზს, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს კურთხეულსა დედათა შორის, რომლისა-თანა ვკმობდეთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

- **შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა.** (კმა 4).

სათნოებითა განჰმდიდრდი, მამაო, და უფროჲს ყოველთასა სიგლახაკე შეიყუარე და უცხოებასა მიეც თავი შენი და ჰმწირობდ ივერიას, ვითარცა რაჲ მოძღუარი შენი იოანე, ხოლო განმადლიერებელმან შენმან ქრისტემან ღმერთმან გამოაცხადნა სიმკნენი ღუაწლთა შენთანი და განჰფინნა ყოველთა კიდეთა ქართლისა და კახეთისათა; ამისთვისცა იხარებს კრებული ქართველთაჲ და იქადიან შენთვის და განსცხრებიან სიხარულით განსწავლულნი წმიდათა ათსამეტთა ასურელთა მამათაგან. **2-გზის.**

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დამბადებელი, ყოვლადუბიწო, წმიდაო, საღმრთოდას სულისა მიერ მუცლად იღე და უხრწნელად ჰშევ, რომლისათვისცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.

– „**სადიდებელი“ მე-19 კანონი** (134-ე და 135-ე ფსალმუნები).

– „**გადიდებასა“** ღირსისა (ფსალმუნთა გამოკრებილი მუხლებით - დავითნიდან).

– „**წარდგომა“** შემდგომად „სადიდებელისა“:

ჯორჯნი მოაკუდინე მოლუაწებითა და საღმრთოთა შურითა შენითა სამებისა წმიდისა სათნოდ გამოსჩნდი, რომლისათვისცა გუნდსა ათსამეტთა ასურელთა მამათასა შეერთე, წმიდაო ზენონ, და საწუთოთა შეებათაგან სიმაღლედ აღიყუანენ ერნი ქართველთანი, ღმერთშემოსილო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ცოდვათა მოტევებისა მონიჭებად, სურვილით პატივის-მცემელთა ჯსენებისა შენისასა. (ჯმაჲ 8) 2-გზის.

დიდება მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თანა დაუსაბამოდ სიტყუად მამისად, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩუენისასა, ღმრთისმშობელო, და უჟამო შემოვალს ჟამსა შინა და სიტყუად განზრქებოდის, ხოლო ძწ ღმრთისაჲ ძედ შენდა იწოდების. ეჰა, მიუწვთომელი ესე საიდუმლოდ, იესუ ქრისტე გუმინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.

- **I ანტიფონი IV ხმისა (კვირის ცისკრისა).**

სიყრმით ჩემითგან ფრიად მზრძვანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთვის გევედრები: შემწე-მეყავ და მიქსენ სახიერ.

რომელთა გძულთ სიონი, სირცხვლეულ-იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა განჯმული თივაჲ შეგჰამნესთ გეენიამან.

დიდება მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცხოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლდების და განჰზრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

- **წარდგომა (საცისკრო სახარებისა):** „პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“. (ჯმაჲ 7).

მუხლი: „რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთვს, რომელი ესე მომაგო მე“.

- **საცისკრო სახარება: ლკ.24 დას. VI, 17-23.**

- **„დიდება“** - „მეოხებითა წმიდისა მამისა ჩვენისა გაბრიელისათა...“

- **„აწ და“** - „მეოხებითა ღვთისმშობელისათა, მოწყალეო...“

- **„მიწყალე მე ღმერთო...“** („მცირე მიწყალე“).

- **შემდგომად 50-ე ფსალმუნისა დასდებელი.**

ვითარცა მოძღვარმან შენმან, ეგროვე შენცა, წმიდაო ზენონ, არა ხოლო თუ თვსნი ოდენ ნაყოფნი შეწირნე ღმრთისა მსხუერპლად სულნელად, ვითარცა აბელ მართალმან, რომელი-ცა-იგი იყნოსა

ღმერთმან დამბადებელმან ყოველთამან სულად სულნელებისად, არამედ სხუანი-ცა ურიცხუნი სულნი შეწირნე ქრისტესა და მიუძღუნა ნაყოფნი ფრიად შუენიერი და სულნელნი და კრავნი უგერმონი და უბიწონი, ამისთვისცა გაქუს კადნიერება წინაშე ღმრთისა, მშვდობად ითხოვე სოფლისათვს და სულთა ჩუენთათვს დიდი წყალობად.

- „აცხოვნე ღმერთო ერი შენი...“

საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა).

- იკითხება 2 კანონი .

- I კანონი - ღმრთისმშობლისა (ძლისპირი 2-გზის) - 6 მუხლად (იხ. პარაკლიტონის ბოლოს ღმრთისმშობლის კანონები: `ეტლთა მფლობელი ფარაო...` ან `ქუეყანასა მწყურნებსა...`).

- II კანონი - ღირსისა (ძლისპირის გარეშე) - 8 მუხლად. (კმა 8).

- **კატავასია:** რიგითი.

- **„უმცირესი“** - „უგალობდით უფალსა“.

გალობა 1, უგალობდითსა

ძლისპირი: ეტლთა მფლობელი ფარაო დაანთქა საკვრველთმოქმედმან კუერთხმან მოსწმან, რომელმან გამოსახა სახც ჯუარისად და განუპო ზღუად მეწამული და ისრაელი იცსნა განმავალი, მეტყუელი გალობასა უფლისასა: რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

ჩუეულება გუაქუს ერსა მართლმადიდებელთასა და ვიხარებთ საკსენებელსა ყოველთა წმიდათასა და უმეტესად დღეს ვიშუებთ დღესასწაულსა შენსა, კეთილად მოღუაწეო ზენონ იყალთოელო, სუეტო და სიმტკიცეო მონაზონთა კრებულისაო, და ერთობითა პატივ-ვსცემთ ჩუენ წმიდასა კსენებასა შენსა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

სიწმიდითა გულისადთა იქმენ რად სამკვდრებელ სულისა წმიდისა, მოგავლინა შენ ღმერთმან კახეთისა მნათობად, ღირსო, და მოგცა მადლი ეშმაკთა ოტებად და უძღურთა კურნებად, აწ დაიფარე სამწყსოდ შენი ყოველთაგან ვნებათა მაჭირვებელთა და ეშმაკთა საცთურთაგან.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

მიიწიე რად კახეთის სანახებსა, ქადაგებდი მართლმადიდებლობისა ყოვლად-უბიწოსა სარწმუნოებასა, და განსწავლიდი რად მრავალთა, ასწავებდი დამარხვად მცნებათა ღმრთისათა. მას ევედრე აწ, ნეტარო ბერო, რადთა გვკსნეს ჩუენცა რწმენისაგან არა-ცხოველისა და ნელ-ტფილისა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

ახალო მოციქულო კახეთისა მხარისაო, ღმრთივ-სულიერთა სწავლათა მაუწყებელო, და კეთილად მსახურებისა გზისა ამის მაჩვენებელო, სურნელება ლოცვათა შენთად, ვითარცა კეთილი საკუმეველი, მარადის აღიწეოდა ღმრთისა მიმართ. მას ევედრე აწ, რადთა გვკსნეს ჩუენ ყოველთაგან ჭირთა და განსაცდელთა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

იყავ ზეცით მონიჭებული სიმტკიცე მართლმადიდებლობისად და სიხარული ივერთა ეკლესიისად, რამეთუ კუერთხითა სარწმუნოებისადთა განიოტე - ბოროტი მგელი და ტაცებათაგან მისთა უვნებელად დაიცევ სამწყსომ შენი ძალითა სამებისადთა განძლიერებულმან.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დიდებალნი ითქუნეს შენთჳს თესლითი თესლადმდე, ქალწულო, რომელმან შეიწყნარე სიტყვად ღმრთისად წიაღსა შენსა და დაადგერ ქალწულად, ღმრთისმშობელო მარიამ, ამისთჳს ყოველნი გადიდებთ, რომელი შემდგომად ღმრთისა მქსნელად ჩუენდა იპოვე, რამეთუ დიდებით დიდებულ ხარ.

გალობა 3, განძლიერდასა

ძლისპირი: შენ, დამამყარებელო კამარათა ცისათაო, უფალო, და აღმაშენებელო ეკლესიათაო, დამამტკიცენ ჩუენ სიყუარულსა შენსა, თავო ყოვლისა სიხარულისაო, და განძლიერებელო მორწმუნეთაო, მხოლოო, კაცთ-მოყუარე.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

განსწავლულ იქმენ რად იოანეს მიერ, მოძღურისაგან შენისა, წარგზავნა კახეთს, რამეთუ მოაკლდენ ჟამსა მას მნათობნი მართლმადიდებლობისანი ქუეყანასა ჩუენსა, და წარსდევნიდი ბნელსა მას უმეცრებისასა ნათლითა მით ქადაგებისა შენისადათა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

ძლიერი შური გაქუნდა შენ, ვითარცა ელიას, პატიოსანო მამაო ზენონ, რამეთუ აღეგზენ ვითარცა ცეცხლი საღმრთოდ მწვალებელთა ზედა და შესწუენ ენანი მათნი, მეოხ-იქმენ მათთჳს, რომელნი პატივს სცემენ დღესასწაულსა შენსა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

ტალანტი იგი, რომელ გერწმუნა, ღირსო, არა დაჰფარე ქუეყანასა, არამედ განამრავლე ვითარცა სარწმუნომან მონამან და ბევრწილად მიართუ ღმერთსა, ხოლო მადლი საკვრველებათად ნიჭად მიიღე განკურნებად სენთა სარწმუნოებით პატივისმცემელთა შენთასა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

დაღაცათუ გენება დაფარვად თავისა თჳსისად, სანატრელო, ვერცაღა დაფარე და განჴდა ჰანზავი შენი ქუეყანასა ჩუენსა, ვითარმედ ვერ შესაძლებელ არს, რომელმან-ცა აღანთო სანთელი და დადგა ქუეშე ჴვმირსა, არამედ სასანთლესა, რადთა ჴნათობდეს კაცთა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

იხარებდ, ღირსო მამაო ზენონ, შუენიერო სამკაულო კახეთისაო, და წესო და კანონო მონაზონთაო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რადთა ცოდვათა შენდობად მოგუანიჭოს, რომელნი სურვილით ვდღესასწაულობთ საჴსენებელსა შენსა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დაემკვდრე წიაღსა ქალწულისასა, უფალო, და გამოუჩნდი კაცთა ჯორციელად ვითარცა სათნო იყავ და გამოაჩინე იგი ჭეშმარიტად ღმრთისმშობლად, მხოლოო კაცთმოყუარე, და შემწედ ყოველთა მორწმუნეთა.

- **შემდგომად „განძლიერდასა“ (III გალობისა):**

წარდგომამ: იყავ რად ათორმეტთა მოწაფეთა შორის იოანე ზედაზნელისაჲთა, მისგან განისწავლე ფრიად და განათლდი რად მადლითა საღმრთოჲთა, სხუანი-ცა განანათლნე და მონასტერი აღაშენნე იყალთოს, რომელსაცა შინა განმრავლდეს მონაზონნი და ვიდრე აქამომდე ჰგიეს საცხოვნებლად სულთა და სადიდებელად ღმრთისა, მას ევედრე აწ ჰსნად ჩუენდა ვნებათა და ჭირთაგან, ღმრთივსანატრელო ზენონ, რომელნი აღვასრულებთ საკსენებელსა შენსა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა განხდა კჲმად ღუაწლისა შენისაჲ, ღმრთივგანბრძნობილო მამაო ზენონ, სანატრელო, რამეთუ დაამდაბლე, რომელნი მალლად იტყოდეს სიცრუევსა, ბოროტად შეცთომილნი ბილწნი მწვალებელნი, არად ირწმუნებდეს რად უგულისხმონი მკსნელსა ორითა ბუნებითა, და აღამაღლებდი მართალსა და ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა, მრავალთა შეასწავებდი რად შეურწყმელად ღმრთეებისა და კაცებისა შეერთებასა. აწცა მოეც მშჯდობაჲ მთავრობასა და მხედრობასა ჩუენსა მორწმუნესა და ერნი მადიდებელნი შენნი, იკსენ უცხოთა სწავლებათა და საცთურთაგან.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჰსნისათჳს ერისა ჩუენისა სულითა წმიდითა განბრძნობილისა ყრმისა მის ქალწულისა, ნინო კაბადოკიელისა მოციქულებრივსა გზასა ზედა წარმომგზავნელო, წმიდაო ქალწულო, დედაო ღმრთისმშობელო, შენ მიერ ბომებულითა ჯუარითა ვაზისაჲთა მის მიერ მცხეთას ბომონთა დამცემელო და ქუეყანასა ჩუენსა სამოციქულოჲსა ეკლესიისა დამამყარებელო, რომელმან შემდგომად მრავალთა წელთა სპასრსთაგან დაკნინებულისა ერისა ჩუენისა განსამტკიცებლად და განსავრცობად ქრისტეს სარწმუნოებისა ასირიითგან ივერიას ათსამმეტნი მამანი მოავლინე და მათ მიერ მონასტერთა დაარსებითა ყოველი ერი ჩუენი კლდესა ზედა სარწმუნოებისასა მტკიცედ დაამყარე, მშობელო სიტყვსაო, აწცა ვედრებად ნუ დასცხრები ღმრთისა მიმართ ჩუენ მოსავთა შენთათჳს.

გალობაჲ 4, უფალო მესმასა

ძლისპირი: შენ ხარ, ქრისტე, ღმერთი ჩემი, შენ ხარ ძალი ჩემი, შენ ხარ უფალი ჩემი და სიხარული ცხორებისა ჩემისაჲ, რომელმან არა დააცალიერენ წიაღნი მამისანი და გამოუჩნდი სიმდაბლესა ჩემსა, ამისთჳსცა წინაღწარმეტყუელისა ამბაკუმის თანა ვიტყოდით: ძალსა შენსა დიდებაჲ, კაცთმოყუარე.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

დაემკვდრე რად კახეთის სანახებსა, ჰბრწყინევი ვითარცა სანთელი მაღალსა მას ზედა სასანთლესა მონაზონებისასა, ყოვლად ნეტარო ზენონ, ხოლო მხილველნი და მსმენელნი წმიდისა ცხორებისა შენისანი ადიდებდენ ღმერთსა, წმიდათა შორის საკვრველსა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

ლოცვად შენი აღიწოდდა რად წინაშე ღმრთისა, კეთილის მოძულენი იგი ეშმაკნი, ვერ დაითმენდეს ღუაწლსა შენსა და აღიმრნეს და ზედა-მოგიხდეს, წმიდაო ზენონ, და იწყეს ბრძოლად მრავლითა და თითოსახითა მანქანებითა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

მანქანათა უღმრთოებისათა ვერ შეუძლეს შერყევად სარწმუნოებისა შენისა სიმტკიცისა, რამეთუ არა გეშინოდა უკეთურთა მათ და მზაკუვართა და მტყუართა სულთა, არამედ ნიშითა პატიოსანისა ჯუარისადათა და ლოცვითა მჭურვალითა განკლდითი ურიცხუთა საფრცეთა მათთა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

იხარებს ეკლესიად შვილთა თანა, აღვსებული ბრწყინვალედ საღმრთოდთა მით სიბრძნითა, ვსენებასა შენსა აღასრულებს და ქებით ადიდებს ქრისტესა ღმერთსა, მას ევედრე აწ, ნეტარო ზენონ, რადთა თანა-წარგუჯადენ ეშმაკისა მიერ აღმრულნი განსაცდელნი მვედრებელთა შენთა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ენანი კაცთანი მოუძღურდებიან გამოთქუმად საიდუმლოდსა შობისა შენისასა უბიწოებით, უქორწინებლო სძალო, ხოლო სარწმუნოებით აღგიარებენ დედად ნათლისა.

გალობა 5, ღამითგანსა

ძლისპირი: ნუ სადა განმიშორენ პირისაგან შენისა, ნათელო წარუვალო, და დამფარა მე ბნელმან წყუდიადისამან განუნათლებელმან, არამედ მომხედენ და ნათელსა მცნებათა შენთასა წარჰმართე სლვად ჩემი, გვედრები.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

მოშურნედ იქეც პირველთა მათ დიდთა მონაზონთა, მარხვითა და ღუაწლითა გაბრწყინებულთა, ღირსო, და ყოველსა დღესა ცხოვრებისა შენისასა განჰლევდი ლოცვასა, ცრემლსა და მღვდარებასა შინა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

განათლებულმან ბრწყინვალეებითა მადლთა სულიერითა, ვითარცა სუეტმან ცეცხლისამან, განაპენ ზღუანი განსაცდელთანი, ყოვლად ნეტარო ზენონ, და დააფუძნე მონასტერი იყალთოს, და კეთილად სრულ-ყავ სარბიელი ამას საწუთოდსა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

სულიერსა ამას კრებასა ყოვლად საგალობელსა, სულისა მიერ წმიდისა მოწოდებულნი, წადიერებით შემოკრებულნი ერნი, ვგალობდეთ და ვიხარებდეთ ღირსად, საკსენებელსა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა, მოღუაწისა ზენონისსა!

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

საკვრველ არიან საიდუმლონი შენნი, ქრისტე ღმერთო, რამეთუ მოგვივლინე ჩუენ სანთელად ცეცხლმთებარედ ღირსი ზენონი, მართლმადიდებელთა ქართველთათჳს მოღუაწედ და მლოცველად, და დიდებად და სიმტკიცედ კახეთისა მხარისა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

აწ ვინ აღრაცხავს ღუაწლსა შენსა საკვრველსა, რამეთუ ჭემმარიტად გამოჩნდი მმარხველთა სამკაულად და ურცხვენელ მლოცველად ღმრთისა. მას ევედრე აწ კსნად ჩუენდა ყოვლისაგან სენისა და განსაცდელისაგან ბოროტისა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

კადნიერებად დედობრივი ძისა შენისა თანა მოგიგიეს, ყოვლად უბიწოო, შეწევნასა ჩუენსა ნუ დააცადებ მისსა მიმართ, გვედრებით, რამეთუ გაქუს შენ მისა მიმართ მეოხებად და მოტევება ცოდვათა ყოველთა ქრისტეანეთა.

გალობა 6, ღაღადყავსა

ძლისპირი: ვედრებასა ჩემსა განვფენ უფლისა მიმართ და მას აღუარებ ბრალთა ჩემთა, რამეთუ ბოროტითა აღივსო სული ჩემი და სიმტკიცე ჩემი ჯოჯოხეთად მიიწია და იოანესებრ ვღაღადებ: აღმომიყვანე მე, ღმერთო ჩემო.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

იქადის შუამდინარეთი, ქუეყანად იგი თქუენი, თანა-მკვდრითურთ თქუენთჳს, ყოვლად ქებულნო, რამეთუ მიერ აღმოსცენდით, წმიდანო, იოანე და ზენონ სანატრელნო, და სხუათა ათერთმეტთა თანა განანათლეთ ნათესავი ქართველთად.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

საცთურისა ვერ დამთმენელი და ფრიად მოყუარჳ ერისა, ღმრთისმშობლის წილხვედრისა, უღმრთოებისათჳს ამხილებდი ქართველთა, რადთამცა არა მოიწიოს მათ ზედა სასჯელი ღმრთისად.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

ყინელი ღამისად და მცხუნვარებად დღისად მხოლომან დაითმინე მწირობასა შინა, და იქეც ტაძრად სიტყვსა ღმრთისა, ხოლო ზეციერსა იერუსალჳმსა აღწევნული, მეოხ-ხარ მაგალობელთათჳს შენთა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთჳს.

შეერთებულ ხარ, რად წმიდათა მწყობრსა მამათასა ასურეთით იბერიასა მოსრულთა და მოძღუარსა თქუენსა იოანეს, ზედაზნის მთასა ზედა მოღუაწესა და ერთობითა იხარებთ წინაშე ღმრთისა, მას ევედრენით აწ, რადთა გჳკსნნეს ცოდვათაგან და უსჯულოებათა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

იქების შუენიერად დღესასწაული შენი მოყუარეთა შენთა მიერ, მართალო ზენონ, და ანგელოზნი მაგალობელთა გალობასა შესწირვენ წინაშე ღმრთისა, მას ევედრე აწ, რაფთა დაგვიფარნეს ჩუენ მტერისა საბრჯისაგან და ძმათა მტერობისაგან.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

განვერენით საცთურსა ცოდვათა ჩუენთასა, ვედრებითა შენითა, ღმრთისმშობელო ქალწულო, მისა შენისა მიმართ, რომელი იშვა შენგან უზესთაეს ბუნებათა, ძწ ღმრთისა დაუსაბამოდ.

- **შემდგომად „ღაღადყავსა“ (VI გალობისა):**

კონდაკი: იქადის აწ ერი ჩუენი და იშვებს წმიდად სავანწ იყალთოდსა, რამეთუ მრავალი მორწმუნე მოისწრაფვის დღესა ამას წიაღსა მისსა, რაფთა გადიდონ ქართველთა დიდი სამკაული, მამად და მოძღუარი საღმრთოდსა სიბრძნისა, მრავალთა სულთა შინა დამწერგველი კეთილზნეობისა და სწრაფ-მკურნალი ყოველთა სნეულთა და შეპყრობილთა, ამისთვსცა გიღაღადებთ: ლოცვითა შენითა გვაცხოვნენ ჩუენ, ღირსო მამაო ჩუენო ზენონ იყალთოელო!

იკოსი: იშვებდ აწ, მხარეო კახეთისაო; განსცხრებოდე სავანეო იყალთოდსაო, და დღესასწაულობდ ქუეყანაო ქართლოსიანთაო, რამეთუ წყალობითა მოგვხედნა ქრისტემან ღმერთმან და მოგუმადლა ჩუენ წმიდანი ათსამეტნი ასურელნი მამანი, რომელთა შორის ჰგიებ შენ, ნეტარო ზენონ, და განამტკიცეთ რაფთა ერი ჩუენი ღმრთისმსახურებასა შინა, მიერთგან არღარა ოდეს მიდრევილ არს ქუეყანად ესე ქართველთად წმიდისა და მართლისა სარწმუნოებისაგან, და არცა მივდრკეთ უკუნისამდე მადლითა-ვე წმიდისა სამებისაფთა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღმრთისმშობელისაფთა და სასოფსა მის მფარველისა ჩუენისაფთა.

გალობა 7, კურთხეულარსა

ძლისპირი: ყრმანი ებრაელნი სახუმილსა შინა ვიდოდეს ცეცხლსა ზედა კადნიერებით და შეცურეულნი ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

განუზომელი მოწყალება და უაღრესი სიტკბოება და სიმდაბლწ გექმნა წინამძღვრად გზასა ჭემმარიტსა, და ყოველთა ასწავებდი ქრისტწს მსგავსად, რაფთა განუყონ უხუებით გლახაკთა და შეეწიონ ნაკლულევანთა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

ყოვლისა სოფლისათვს და უფროდს ქართველთათვს აღავლენდი რაფთა ვედრებასა, რაფთა წინააღმდგომთა მათ ჭემმარიტებისათა სძლევდეს მართლითა სარწმუნოებითა და მარადის მოიხვეჭდეს განმარჯვებასა მზაკუვარსა მტერსა ზედა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

აწ განათლდების ივერთა ეკლესიაფ დიდებითა შენითა და გვიწესს ყოველთა მორწმუნეთა, რაფთა განატრიდეთ შენ, მოშურნესა მჭურვალესა და ვნებათა თვთმპყრობელსა, გლახაკთა წინამდგომელსა, და ცოდვილთა სულთა მძღუანსა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენთვს.

განკურნე ვნებათაგან შესუარული გულისთქმანი ჩუენნი, რომელნი განარისხებენ გონებასა ჩუენსა და დააცხრვე ღელვანი ბოროტისა უღირსებისად, ხოლო გულნი ჩუენნი დაუძლურებულნი, ამა სოფლისა ზრუნვათაგან, განგვიმტკიცე, მამაო ზენონ, რადთა უკუნისამდე ვადიდებდეთ ქრისტესა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

მრავალთა ამხილებდი და განსწავლიდი წყობასა მტერთა მიმართ უხილავთა და ხილულთა, და განაკრძალებდი ლოცვასა. ხოლო აწ დადგრომილ ხარ წმიდანად ივერთა ეკლესიისა და გაქუს მადლი შეწევნისა ჩუენისა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გიხაროდენ შენ, ასულო ადამისო, გიხაროდენ, სძალო ღმრთისაო, გიხაროდენ, მშობელო მაცხოვრისაო, რომელმან დაიტე შემოქმედი შენი, მეოხ-გვეყავ მარადის.

გალობა 8, აკურთხევედითსა

ძლისპირი: შვიდ-წილ აღაგზნა საჯუმილი მძლავრმან ქალდეველმან ყრმათათჳს გულისწყრომით, რისხვითა ძალითა მადლისადთა იხილნა უვნებელად დაცულნი ცეცხლისაგან განურყუნელად, დამბადებელისა მიმართ და მქსნელისა ღალად-ყო: `აკურთხევედით ყრმანი და მღდელნი უგალობდით, ერნი უფროსად ამალეზდით მას უკუნისამდე`.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტჳს.

ვითარცა დავით დაიმდაბლა თავი თჳსი და თქუა შემუსრვილითა გულითა: `მატლ ვარ და არა კაც, საყუედრელ კაცთა და შეურაცხ ერისა`; შენცა აჩუენე სიმალღ სიმდაბლისად, და ღმერთი შეიყუარე, სიმდიდრე წარუპარველი, რომლისა მიერ იდიდე საუკუნოდ; მისა მიმართ მეოხ ვეყავ, რომელნი დღეს ვადიდებთ ჳსენებასა შენსა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტჳს.

აწ იხარებს და განსცხრების კრებული მორწმუნეთად მომხსენებელი ღუაწლისა შენისად და ითხოვს მეოხებასა შენმიერსა ღმრთისა მიმართ, რადთა ცოდვისამიერი წყუდიადი უმეცრებისად განდევნოს ჩუენგან, და უვნებლობითა, რწმენითა და სიხარულითა შეჳმოსოს ყოველი, ღირსო, ვინაჲცა პატივსა მიაგებენ სახელოვანსა ხსენებასა შენსა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტჳს.

ვითარცა მზღ ბრწყინვალეზ, ჳნათობდი ქართველთა ეკლესიისა სამყაროსა, იყავ რად მოძღუარი ჳუმარიტი ყოველთა შენდამი მოლტოლვილთა და ღმრთისმშობლისა მიმართ დიდად მვედრებელი ერისათჳს ჩუენისა და ფრიად მოყუარული წიხვედრისა ერისა მისისა - ივერისა და მლოცველი ივერიელთათჳს და წარმატებისათჳს მათისა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტჳს.

აღაშენე რად იყალთოს სავანზ, შემდგომად მრავალთა წელთა განაახლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩუენმან არსენი და შეკრიბნა მუნ ღმრთივგანბრძნობილნი მამანი და მეცნიერნი

მოდურად სწავლულებისად, და სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა, ხოლო სახელსდვა რად იყალთოს აკადემია, მას შინა განისწავლებოდა ერი ჩუენი მრავალთა საუკუნეთა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

აწ მტერნი იგი ჭეშმარიტებისანი ილუწიან, რადთა ღმრთივდაცული ერი ჩუენი შთასთხინნეს უფსკრულსა უმეცრებისასა და გარდასახნეს ერად ბნელისა, ხოლო ჩუენ ძილის დაჯსნილებასა მივცემივართ და ვერცაღა ძალგვიძს წინააღმდეგომად ბოროტისა, არამედ მოწყალე-ჰყავ ჩუენ ზედა მართლ-მსაჯული იგი უფალი, რადთა განვსძლიერდეთ და განვცხოველდეთ სულითა და ჯორცითა და კურთხეულითა ენითა ქართულითა ღირს-ვიქმნეთ გალობად ღმრთისა.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სამთა მათ ყრმათა ბაბილონს საჯუმილსა შინა სამებასა თაყუანის-სცეს და შეურაცხ-ყვეს ხატი იგი ოქროდსად, და ცუარითა სხურებულნი გალობითა დაღადებდეს: ყოველნი საქმენი აკურთხევდით დღეს ღმერთსა და უფალსა, უგალობდით და ამალლებდით მას უკუნისამდე.

- ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.

- **შემდგომად ნაკურთხევდითსა“ (VIII გალობისა): - ნუჰპატიოსნესსა“.**

-

გალობად 9, ადიღებდითსა

ძლისპირი: შენ, რომელი უქორწინებელ ხარ, დედაო უსძლოო, შენ, რომელმან უზესთაეს ბუნებათა შევ დაუსაბამო, რომელ-არს შემოქმედი ღმერთი ჭეშმარიტი, გალობითა დაუდუმებელითა გადიღებთ.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

გემცნო დღე საწუთოდთგან განსლვისა შენისად და ილოცვიდი და შეჰვედრე რად სამწყსოდ და ერი ჩუენი და მერმე სული შენი უფალსა, შეერთე სიმრავლესა მას წმიდათასა, და დაგფლეს იყალთოს მონსტერსა, შენ მიერ დაარსებულსა.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

ხედვიდეს რად ქართველნი სამარხოსა შენსა, კურნებათა აღმომადინებელსა, და სასწაულთა აურაცხელთა, რომელნი იქმნებოდა მადლითა შენითა, ჳმამაღლად გადიდეს, ვითარცა საკვრველთმოქმედი მამად, და საჯსენებელად და საუკუნოდ ნეტარებად და ქებად შენი განგვიწესეს.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

პატივი სიწმიდისად სიკუდილისა მიერ ვიდრე აქამომდე არცაღა განგეშორა, ღირსო მამაო ზენონ, რამეთუ სამარხოდ შენი იქმნა უძლურთათვს, ვითარცა საუნჯე მადლისად და წყაროდ კურნებათად.

წმიდაო, ღირსო მამაო ზენონ, ევედრე ღმერთსა ჩუენტვს.

მოსავნი შენნი და მოყუარენი ვიდრე აქამომდე ისწრაფვიან სავანესა მას, რომელსა შინა მდებარე ნაწილთა შენთა წმიდაჲ სამარხოჲ, ვითარცა წყაროჲ დაუწყვედელი, მდიდრად აღმოაცენებს მადლთა სურნელებასა და კურნებასა მიჰმადლებს პატივისმცემელთა მისთა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

არა მხოლოდ იგი წმიდისა მის სავანისა მკვდრ ხარ, სანატრელო, არამედ სრულიად ქართველთა მიწა-წყლისა, და მლოცველი და მსწრაფლშემწე, და ყოვლად ძლიერი და უძლეველი მფარველი და მეოხი ყოველთა მართლმადიდებელთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ძუელი შჯული მოგასწავებს, ქალწულო წმიდაო, და ახალი აღგიარებს ღმრთისმშობლად, უსძლოო, და ჩუენ მორწმუნენი სარწმუნოებით ვიტყვთ: მშობელო სიტყვსაო, ვედრებად ნუ დასცხრები ღმრთისა მიმართ მოსავთა შენთათჳს.

- **შემდგომად „ადიდებდითსა“ (IX გალობისა): - „ღირს არსი“ - არ იგალობება.**

„განმანათლებელი“: ნათელმან უსხეულომან განგანათლა შენ, ზ, ნეტარო ზენონ, და აღმოგაბრწყინვა შუა-მდინარით და მოჰფინა შარავანდედი ქუეყანასა ამას, ცოდვისა მიერ ბნელ-ქმნილსა, და ყოველი წყუდიადი ბნელისაჲ წარსდევნა და შენ მიერ განათლებულთა ვიცანთ ღმერთი დაუსაბამოდ, სამ-გვაგამოვნებით თაყუანისცემული და შენ მეოხ-გყოფთ წინაშე მისსა. (2-გზის)

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ქრისტემან მოგცა შენ მადლი სასწაულთაცა საქმედ და ესრეთ პატივ-გცა საწუთროსა ამას, ხოლო შემდგომად სიკუდილისა შენისა უფრომს იდიდე წინაშე მისსა, და კეთილითა სიყუარულითა შეერთებული მოძღურისა შენისა თანა და სულიერთა ძმათა, ჰგიებ წინაშე ღმრთისა, აწ ითხოვე ყოვლისა სოფლისათჳს მშჳდობით დაცვაჲ, და ერსა ჩუენსა ძლევაჲ მტერთა და მაჭირვებელთა ზედა მოანიჭე და მგალობელთა შენთა დიდი წყალობაჲ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმრთისმშობლად ჭეშმარიტად აღგიარებთ შენ, დედოფალო, შენ მიერ ცხოვნებულნი, რამეთუ ღმერთი ჰშევ გამოუთქმელად დამცხნელ ჯუარითა სიკუდილისა და თჳსდა მიმართ მიმზიდველი ღირსთა კრებულისა, რომლისა თანა გაქებთ შენ, ქალწულო.

- **„ყოველი სული“ - იგალობება.**

- **„აქებდითსა“ ზედა დასდებლები - მუხლი 8.**

ლუაწლი შენი, ვითარცა ოქროსა საუნჯე ბრწყინვალედ შეუმოსია ეკლესიასა ღმრთისასა და, ვითარცა გზრგზნი სამეუფოდ, შემკული ბრწყინვალედ თუალთაგან მრავალსაწყიდლისათა, დაუდგამს თავსა თჳსსა, რადთა ჰნათობდეს ყოველთა, რომელნიცა სიხარულით შევლენან მას შინა. ამისთჳსცა გიღალადებთ შენ, ღირსო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, განაშოროს ყოველი სილალე და ამპარტავენებაჲ დაბნელებულისაგან გონებისა ჩემისა და ერი ჩუენი, ქრისტეს მოსახელე იცხნეს საეშმაკოთა ბადეთაგან და ანტიქრისტეს ხიბლისაგან და საცთურისა.

ბრწყინვალეებითა მადლითა შენისაჲთა განგუანათლენ მადიდებელნი შენნი, ღმერთშემოსილო მამაო ზენონ, რამეთუ მსგავსად მნათობთა დიდთა განმტყვებელი ბრწყინვალეთა შარავანდედთა

ელვარე ჰყოფ ყოველთა ვსენებისა შენისა მედღესასწაულეთა და საღმრთოსა მადლსა მიჰფენ სულსა ზედა მორწმუნეთასა, რომელნი სარწმუნოებით და სურვილით ვაქებთ დღესასწაულსა შენსა განათლებულსა და ღირსსა ქებისასა.

დღესა ამას მორწმუნეთა სულიერისა ზეობისასა, დღესასწაულსა ღირსისა მამისა ზენონისასა, მასვე შევჰდალადებთ: გიხაროდენ, ზეცისა კაცო და ქუეყანისა ანგელოზო; გიხაროდენ, მრავალთა გზასა ზედა ცხოვნებისასა დამაყენებლო; გიხაროდენ, მართალთა დიდებაო და ერისა ჩუენისა განმამტკიცებლო, მეოხ გუეყავ წინაშე ღმრთისა, მართლმადიდებელნი ერნი დაგვიცუნეს სატანისა მახეთაგან და უცხო თესლთა ზედა მოსლვისაგან და მოგვანიჭოს მშვედობად და წყალობად.

შემოკრებით, ზ, ერნო ქართველთანო, და შესხმითა სულიერითა უგალობდეთ წმიდასა და ახოვანსა ქრისტესს მხედარსა, ზენონს, იყალთოელსა მოღუაწესა, რომელი ფრიად დაშურა ერისა ჩუენისათვის სულიერად წინაშე ღმრთისა, ვსნად განსაცდელთაგან და განრინებად ყოვლისაგან ვნებისა, არამედ აწ ვევედრნეთ სიწმიდესა მისსა, რადთა დანერგოს ჩუენ შორის შიში და მომაგებად ცოდვისად და სიყუარული ღმრთისა და მოყუასისა.

დაღაცათუ საფლავმან დაგვარა შენ, მამაო ზენონ, საკვრველებათა მათ აღმობრწყინვებითა ელვარობ წმიდისა მის სავანითგან ყოველსა ზედა ქუეყანასა და სულიერთა სულნელებათა მიჰფენ სულთა და გონებათა ჩუენთა, ვინად ესე მოვისწრაფვით იყალთოსა, ნაწილთა შენთა საყოფელსა, რადთამცა კურნებად აღმოვივსოთ სულთა და ჯორცთა ჩუენთა.

- მუხლი: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“.

დაღათუ ურიცხუნი სასწაულნი შენნი განგვაცვიფრებს, ღმერთშემოსილო ზენონ, საკვრველო, არამედ უფრომს გჰკვრს მოღუაწებად შენი და სიყუარული ღმრთისა და მოყუასისად, რომელმან მხარჯ ესე კახეთისად განანათლენ საკვრველებითა და მარადის შეეწევი შენდა მომართ მჟურვალედ მოლტოლვილთა, დაუცხრომელად ევედრე აწ ქრისტესა ღმერთსა, რომელნი პატივს-ვსცემთ ყოვლადსანატრელსა ვსენებასა შენსა, ვსნად ყოველთაგან ჭირთა და განსაცდელთა.

- მუხლი: „ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“.

აწცა მოგუხედენ მალლით, ღმერთშემოსილო, და დააცხრვენ აღმრვანი უხილავთა და ხილულთა ვნებათანი, გარე-წარგუჰადენ განსაცდელნი და ეშმაკთა კუეთებანი სამწყსოთა ამათ შენთა და მგალობელთა, მდგომარეთა წინაშე სამარხოსა ნაწილთა შენთასა, და შეწირე ვედრებად ჩუენი დედასა თანა ღმრთისასა წინაშე ქრისტესსა თანაშეწევნითა ზეცისა მჰედრობათადთა და წინამორბედისა და იოანე ღმრთის-მეტყუელისადთა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დავბეროთ საყვრსა გალობათასა და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ყოვლადქებულისა ზენონ იყალთოელისა. შემოკრებით ზ, მორწმუნენო ქართველნო და შესხმითა სულიერითა შევამკობდეთ და ვაქებდეთ სანატრელსა მამასა ჩუენსა, ვითარცა სწავლისა მდინარეთა აღმომდენთა ჩუენდა და უგალობდეთ: უძლურნი _ სენტა მჟურნალსა, ხოლო ჭირვეულნი _ მკსნელსა, შეცოდებულნი _ მჟურვალესა მეოხსა, მწუხარენი _ განმაცხრობელსა და მავალნი _ მოგზაურსა, მენავენი _ მმართებელსა და ყოველნი

ყოვლით კერძო, ყოველთავე სასოსა სარწმუნოებით ვადიდებდეთ და ვიტყოდეთ: მეოხ-გუეყავ, ღმერთშემოსილო, რადთა ლოცვათა შენთა მიერთა თხოვითა შეგვჭურნეს ჩუენ უფალმან ღმერთმან ძალითა თვისითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენტა ზედა და გუაცხოვნნეს ჩუენ. (ჯმაჲ 5).

- „აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ“. - „ღვთისმშობელო ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი, რომელმან გამოიღე ტევანი ცხორებისა, შენ გვედრებით, მიმადლებულო, მოციქულთა თანა მეოხ მეყავ ცხორებისათვის სულთა ჩვენთასა“.

- „დიდებამაღალიანი“ - იგალობება.

- ტროპარი ღირსისა: „იხარებს დღესასწაულსა შენსა ერი ქართველთაჲ...“ (ჯმაჲ 4).

- „დიდება“ „აწ და“ - ღმრთისმშობლისა „აღდგომის განსატევებელი“ (ტროპარი ხმის მიხედვით): - რომელი საუკუნითგან დაფარულ-იყო, და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთისმშობელო, შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, ღმერთი შეურევნელად შენგან განჯორციელდა, ჯუარცმად ნებსით თავს იდუა, რომლისათვისცა აღადგინა პირველდაძინებულნი, და იქსნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი.

I, III და VI ჟამნებზე:

- ტროპარი: ღირსისა.

- კონდაკი: ღირსისა.

წმ. იოანე ოქროპირის საღმრთო ლიტურგია:

- „გამომსახველობითი ანტიფონები“ - „ნეტარებების“ - გალობისას ჩაერთვის „მომიხსენენი“ - 8 მუხლად:
 - ღირსის III გალობიდან - 4 მუხლი (ძლისპირით).
 - ღირსის VI გალობიდან - 4 მუხლი, თავისი „დიდება“ „აწ და“ - თი.

სამოციქულო - ღირ. - გალ. 213 დას. V, 22 - VI, 2.

სახარება - მთ. 43 დას. XI, 27-30.

შესვლად.

ტროპარი - ღირსისა

კონდაკები - „დიდება“ - ღირსისა

„აწ და“ - „სასო და შესავედრებელო...“

„წარდგომა“: „პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“. (ჯმაჲ 7).

მუხლი: „რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთჳს, რომელი ესე მომაგო მე“.

„ალილუია“: „ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“.(ქმად 6).

მუხლი. „ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი და თესლი წრფელთა იკურთხოს“.

განიცადე: „საქსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი ჰამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის“.

წეს-განგება შეადგინა: თინათინ მჭედლიშვილმა